ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 12/14308227-16

„ 19 „ 12 2014 წ.

შ.პ.ს. „ა.რ.ტ.“-ს, თენგიზ ბერაია-ს
მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. #25/4

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #12/14308227-16 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 30 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა) 26.06.2014წ. #1353186 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, გლდანის III და IVმ/რ–ებს შორის ეკლესიის მიმდებარედ (ნაკვეთი #037/013) თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

√ ობიექტი #1

შემცირებულია ნაგებობის სიგრძე 1,2 მ–ით, სიგანე გაზრდილია 0,4 მ–ით, ხოლო სიმაღლე გაზრდილია 1,7 მ–ით. შეცვლილია ნაგებობის კონსტრუქციული სქემა და დამატებულია ლითონის დეტალები. შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია და მასალა. „5–5“ – „4–4“ ღერძებს შორის შემცირებულია მანძილი 0,8 მ–ით. საყრდენ სვეტებთან მოწყობილია ლითონის დაბალი დამცავი ბოძები. შეცვლილია ტექნოლოგიური დანადგარების ოთახის გაბარიტები და კედლების ფაქტურა. სახურავზე მოწყობილია კონდიციონერი. „4–5“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და არ არის მოწყობილი მცირე ზომის საჩრდილობელი. „5–4“ მონაკვეთში გაუქმებულია კარი, მოწყობილია აირგამწოვი მილი და კომუნიკაციის მცირე შეფუთვა.

√ ობიექტი #2

ობიექტი გადახურულია ლითონის კონსტრუქციით (სიმაღლე 3,80 მ). შეცვლილია „მტვერსასრუტებისა და ტილოს საწური დანადგარების კუნძულების“ კონფიგურაცია და დამატებულია სამი მათგანი. ერთ „კუნძულზე“ არ არის მოწყობილი მტვერსასრუტი. აღნიშნული ობიექტის უკან არ არის მოწყობილი გამწვანების ზოლი და მოწყობილია ლითონის დაბალი დამცავი ბოძები.

ობიექტი #3

შეცვლილია რელიეფის დონე. გაზრდილია შენობის გაბარიტული ზომები. შეცვლილია კედლების მასალა, ფაქტურა და ფერი. სახურავზე განთავსებულია კონდიციონერი.

„ა–დ“ ფასადზე: „ა–გ“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტი და ნახატი. „გ–დ“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და დამატებით მოწყობილია კარი. საპროექტო კარებთან არ არის მოწყობილი ბაქანი.

„1–3“ ფასადზე: „1–2“ მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი და მოწყობილია სარეკლამო წარწერა. სარეკლამო წარწერა ასევე მოწყობილია პარაპეტზე.

„დ–ა“ ფასადზე: გაუქმებულია პარაპეტი და მოწყობილია წყალშემკრები მილი.

„3–1“ ფასადზე: გაუქმებულია პარაპეტი და მოწყობილია აირგამწოვი ღიობები. რენდერის მიხედვით შეცვლილია სარეკლამო წარწერის ფორმა, ფერი და განთავსების ადგილი.

საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია განათების ლამპიონები. #2 ობიექტის უკან არ არის მოწყობილი ბეტონის ცოკოლი, ხოლო #1 ობიექტის „ს–ბ“ ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია ბეტონის ცოკოლი სარეკლამო ბანერით. #3 ობიექტთან არ არის მოწყობილი დროშები.

პროექტის ხარვეზი: #3 ობიექტის „3–1“ ფასადის ნახაზზე არ არის ნაჩვენები სარეკლამო წარწერა, რომელიც ნაჩვენებია რენდერზე.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

სამსახურის
უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი